ქართველი და ესპანელი ავტორების სახელმძღვანელოებში გამოყენებული მეთოდების შეპირისპირებითი ანალიზი ქართულენოვანი სტუდენტებისათვის ესპანური ენის სწავლების ეფექტური მეთოდების შემუშავების მიზნით

მარიამ გაბოძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რომანული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

რომანული ფილოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბესელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ, გაბოძე, 28.05.2026.

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ესპანური ენის პოპულარიზაცია აქტიურად დაიწყო და მედია საშუალებების დახმარებით იგი გავრცელების დიდ მასშტაბებს აღწევს. წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია ესპანურ ენაზე მომუშავე და მისი შესწავლით დაინტერესებულთათვის, რომელთა მიზანია ეძიონ ეფექტური გზა ამ ენის დაუფლებისა და სწავლების მეთოდოლოგიების შემუშავების მიმართულებით. ქართულენოვანი სტუდენტები ენის განსხვავებულ სახელმძღვანელოებს იყენებენ სამუშაო პროცესში, ეს ძირითადად ესპანელი ავტორების ან ქართველი ავტორების მიერ არის შექმნილი. კვლევის მთავარი ობიექტია ორი სახელმძღვანელო: ერთი ესპანელი ავტორების Concha Moreno García, Victoria Moreno Rico და Piedad Zurita Sáenz de Navarrete მიერ შედგენილი ,,*Nuevo Avance 1*" და მეორე მარინა კობეშავიძის *,,ესპანური ენა",* მათი მეთოდოლოგიური კრიტერიუმებისა და სასწავლო კომპონენტების ინდივიდუალური და შედარებითი ანალიზის გათვალისწინებით. ნაშრომი შეისწავლის ამ ორი სახელმძღვანელოს ფუნქციონალურ როლს და თითოეულ მაგაწში აფასებს ენობრივი კომპეტენციის ოთხი უნარის განვითარების ხარისხს. აგრეთვე წარმოდგენილია ლინგვისტთა ხედვები ენის დიდაქტიკასთან დაკავშირებით და მოსაზრებები ძირითად შემთხვევებში პირველი უცხო ენის გავლენის შესახებ მეორე უცხო ენის, ესპანურის სწავლების დროს. ეს ენა ინგლისურია. კვლევის მიზანია, დაადგინოს ესპანურენოვან ავტორთა სახელმძღვანელოების მნიშვნელოვანი როლი მისი სწავლების დროს, უპირატესობები და ნაკლოვანებები, აგრეთვე ქართველი ავტორის მიერ შედგენილი მასალის ეფექტურობა და პრაქტიკული დანიშნულების შეფასება, რაც აისახება ჩატარებულ გამოკითხვაში და სტუდენტთა პირადი გამოცდილების გაზიარებაში. ასევე წარმოჩენილია ინგლისური ენის დამხმარე როლი ქართულენოვანი სტუდენტების მიერ ესპანური ენის შესწავლის პროცესში. ენის შესწავლა არა მხოლოდ ცალკეული ლინგვისტური პროცესია, არამედ კულტურისა და ტრადიციების გაცნობასა და გააზრებას მოითხოვს, რადგან არსებობს სტრუქტურა, სისტემები და ცნებები, რასაც კონტექსტი სჭირდება, ამას კი კულტურა სცემს პასუხს. შესაბამისად, ესპანური ენის შესწავლა არის კომპექსური აქტივობა, რაც

მოიაზრებს რამდენიმე სასწავლო სახელმძღვანელოსა და მეთოდოლოგიების ვარიაცასა და კომბინაციას. აგრეთვე სოციალური ფაქტორის გათვალისწინებას, სხვა ენების დახმარებას და შედარებას ესპანურთან და მასთან დაკავშირებული განსხვავებული პროცესების ჩართვას ლინგვოდიდაქტიკაში. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამის შედეგად შეიძლება ითვლებოდეს ესპანური ენის სწავლება ეფექტურად და ფუნქციურად.

საკვანძო სიტყვები: ლინგვოდიდაქტიკა, ენობრივი კომპეტენცია, კომბინირებული სწავლება, კომუნიკაციური მეთოდი, დედუქცია და ინდუქცია

Abstract

In the modern world, the Spanish language has been actively popularized and, with the help of media, it is reaching large scales of distribution. This work is presented to those working with the Spanish language and those interested in its study, whose goal is to find an effective way to master this language and develop teaching methodologies. Georgian-speaking students use different language textbooks in their work process, mainly created by Spanish authors or Georgian-speaking people. The main object of the research is Concha Moreno García, Victoria Moreno Rico and Piedad Zurita Sáenz de Navarrete's "Nuevo Avance 1" and Marina Kobeshavidze's "Spanish is a Language", taking into account their methodological criteria and individual and comparative analysis of their educational components. The work examines the functional role of these two textbooks and evaluates the development of the four skills of language competence according to each. Also presented are the views of linguists on language didactics and opinions on the influence of the first foreign language in the teaching of the second foreign language, Spanish, in the main cases. This language is English. The aim of the study is to determine the beneficial role of textbooks by Spanish-speaking authors in its teaching, their advantages and disadvantages, as well as to evaluate the effectiveness and practical purpose of the material compiled by the Georgian author, which will be confirmed by the survey conducted and the personal experience of students, as well as the supporting role of English in the study of Spanish for Georgian-speaking students. Language learning is not only a separate linguistic process, but also requires familiarization with and understanding of culture and traditions, because there are structures, systems and concepts that need a context, and culture responds to this. Accordingly, learning Spanish is a comprehensive activity that involves the variation and combination of several teaching guides and methodologies, as well as taking into account the social factor, the support and comparison of other languages with Spanish, and the inclusion of different processes related to it in linguistic didactics. Only as a result of this can the teaching of Spanish be considered effective and functional.

Keywords: language teaching, language competence, combined learning, communicative method, deduction and induction.

მადლობა

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს თამარ ბესელიას ნაშრომის შექმნის პროცესში კომენტარებისა და საჭირო რჩევების მოცემისათვის. მისი დახმარებით შედგა კვლევა და უფრო ჩამოყალიბებული გახდა წინამდებარე ნაშრომი, რადგან ერთად მუშაობის ფარგელებში გამოვკვეთეთ ძირითადი სამუშაო ობიექტები და კვლევის მიზანიც.

ასევე მსურს, ჩემი მადლიერება გამოვხატო ყველა რესპონდენტის მიმართ, ვინც კვლევაში იყვნენ ჩართულნი და გამოკითხვაში მონაწილეობდნენ. რომ არა მათი კრიტიკული შეხედულება, ნაშრომი ვერ მიიღებდა სრულყოფილ ფორმას და ეფექტური შეჯამების ნაწილი ვერ შედგებოდა, რაც მნიშვნელოვანი იყო მთლიანი სამაგისტრო სამუშაოსთვის.

გულითად მადლობას ვუხდი ქალბატონ მზაღო დოხტურიშვილს, რომ მაგისტრატურის განმავლობაში სამი სემესტრის მანძილზე მაფიქრებდა ჩემს სამომავლო ნაშრომზე და საკვლევი თემის ჩამოყალიბებაში დამეხმარა, რომ არა მისი ძალისხმევა, ეს კვლევა ვერ შედგებოდა სათანადო ფორმით.

მინდა ჩემი დიდი პატივისცემა გამოვხატო ქალბატონი ია კარგარეთელის მიმართ, რომელიც ჩემი ესპანურის პირველი მასწავლებელი იყო და მისი შთაგონებით ჩავერთე ენის დიდაქტიკის პროცესში, როგორც ნაშრომზე მუშაობისას, ასევე ჩემი სამომავლო ინტერესისა და კარიერის წარმართვის კუთხით. დიდი მადლობა მას, ესპანურენოვანი სამყარო რომ გამაცნო და ჩამომიყალიბა მასთან დაკავშირებული სწორი სამომავლო ხედვები.

ბოლოს კი ყველაზე მნიშვნელოვანის მიმართ მსურს მადლიერების დაფიქსირება, ჩემი ოჯახისა და ახლობლებისადმი. მათი მოთმინება, გვერდში დგომა, გამხნევება და იმედი მთელი ამ პროცესის განმავლობაში მომყვებოდა თან. მათ მომცეს გამძლეობა და მოტივაცია, რომ ძალისხმევა ჩამედო მთელი სამაგისტრო საფეხურის გავლის დროს და განსაკუთრებით ნაშრომის წერის პროცესში.

მადლობა მათ, ვინც პირდაპირ და ირიბად იყო ჩართული ამ ნაშრომზე მუშაობისას.